საქმე №2/2611-17

4311124310476

www.info.court.ge

ამონაწერი

# კრედიტორთა კრების ოქმი

21 ივნისი 2018 წელი ქ.თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე: ლაშა ქოჩიაშვილი**

**სხდომის მდივანი: მარი კირვალიძე**

**შ.პ.ს. „პრაიდ გრუპი“-ს კრედიტორთა კრება**

საოქმო განჩინების გამოტანა მოსამართლე: ლაშა ქოჩიაშვილი

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად მოვალის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას ამ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესით.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ

წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

ვინაიდან, კრედიტორებს არ წარმოუდგენიათ გაკოტრების მმართველის კანდიდატურა და კრებაზე გამოცხადებული კრედიტორები თანახმა არიან გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ს.ს.ი.პ. აღსრულების ეროვნულ ბიურო, შ.პ.ს. ,,პრაიდ გრუპის“ მიმართ უნდა დაიწყოს გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად უნდა დაინიშნოს ს.ს.ი.პ. აღსრულების ეროვნული ბიურო.

სასამართლომ იხელმძღვანელა ”გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17, 27-ე, 36-ე, 37-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით,

**<u>ადგილზე თათბირით დაადგინა:</u>**

1. შ.პ.ს. ,,პრაიდ გრუპის“ მიმართ დაიწყოს გაკოტრების საქმის წარმოება.
2. შ.პ.ს. ,,პრაიდ გრუპის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ს.ს.ი.პ. აღსრულების ეროვნული ბიურო.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით განჩინების გამოცხადებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2018.10.30 15:48:42 +03'00'